



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



PRESS RELEASE

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის

2016 წლის 9 დეკემბერი

13:00 საათი

ქარელი - გამგეობის შენობა

USAID/Zrda-ს შესახებ ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

ქეთი რეხვიაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ტელ: 032 222 7495 ელ.ფოსტა: krehviashvili@zrda.ge

USAID-ის პროექტი ზრდა და სადაზღვევო კომპანია ალდაგი რეგიონებში ახალგაზრდების დასაქმების პროგრამას იწყებენ

9 დეკემბერს, ქარელის გამგეობაში, პროექტ „ზრდა“-სა და სადაზღვევო კომპანია ალდაგს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდების დასაქმებას ისახავს მიზნად. დოკუმენტს ხელი პროექტ „ზრდა“-ს ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა და სადაზღვევო კომპანია ალდაგის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა მოაწერეს.

სადაზღვევი კომპანია ალდაგისა და USAID-ის ურთიერთთანამშრომლობა ახალგაზრდების თვითდასაქმებასა და პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. პროექტის ფარგლებში, პირველი შეხვედრა მოსახლეობასთან ქარელში ჩატარდა, სადაც სადაზღვევო კომპანია ალდაგმა დასაქმების ახალი ონლაინ პორტალის ojib.ge -ს პრეზენტაცია გამართა. კომპანიის წარმომადგენლებმა საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ალდაგის ონლაინ სააგენტო ქსელში დასაქმების თაობაზე და ojib.ge-ზე დარეგისტრირების მსურველებს ადგილზე გაუწიეს სათანადო დახმარება.

USAID-ის ხელშეწყობით, აღნიშნული პროექტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონს - სამცხე-ჯავახეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთს, შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთს მოიცავს. პროექტი ზრდა და კომპანია ალდაგი, სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით, განახორციელებენ მოსახლეობისათვის ისეთი სადაზღვევო პაკეტების შეთავაზება-გავრცელებას, როგორცაა მოსავლის, პირუტყვის, ავტომობილის და სიცოცხლის დაზღვევა. ამასთან, პროგრამა ხელს შეუწყობს ეთნიკურ უმცირესობათა დასაქმებას და პროექტის სამიზნე რეგიონების საზღვრისპირა თემებში დაზღვევისა და მისი უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



აღდაგი ქართულ სადაზღვევო ბაზარზე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ინოვაციური პროექტების განხორციელებას აქტიურად აგრძელებს. სოციალურ სფეროში, თანამედროვე ტენდენციების დანერგვა-განვითარება აღდაგის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, შეიქმნა ახალი ინტერნეტ პორტალი, რომელიც ონლაინ სამუშაო ქსელს წარმოადგენს. აღნიშნული პროექტი, საშუალებას აძლევს, როგორც სამუშაოს მაძიებლებს, ისე უკვე დასაქმებულ ადამიანებს, გაიჩინონ სტაბილური შემოსავლის წყარო. www.onjob.ge- ზე შეუძლია 16 წლის ზემოთ, ნებისმიერ ინტერნეტ მომხმარებელს.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციულ საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>